პარასკევი, 16 მარტი 1907 წ.

ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წლიწადი პირველი — № 58

გაზეთი «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ისარში გამოსაცემად შემოსული წერილები და მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ღირს 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

კვირას, 18-ს მარტს, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ორმოცის დღის გარდაცვალებისა გამო

თავ. ეზეკია ივანეს ძე მიქელაძის

სულის მოსახსენებლად სოფელ კულაში, ჯვარცმის ეკლესიაში, ნაშუადღევის ორს საათზე. (1—ტ.—1)

ევა არტემის ასული რცხილაძისა ქმრითა და შვილებით, **ოლღა არტემის ასული გოგნიევისა** ქმრითა და შვილებით, **სოფიო არტემის ასული თვალოჭროვისა** (იგივე უთიაშვილი) მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულ გარდაცვალებას ქალაქ თელავში მამის, სოფელ ახმეტის მღვდლის

არტემ თვალოჭროვისას (იგივე უთიაშვილი).

დაკრძალვა სოფ. თიანეთში პარასკევს, 16 მარტს. (2—2)

ნინო ხლტუანის ასული და ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ამირხანოვები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულ სიკვდილს ქ. სიღნაღში პირველი—დაუვიწყარ ქმრის და მეორე—მამის

ალექსანდრე ოსიპის ძე ამირხანოვისას

სპეციალური მომზადება შესასვლელ ეგზამენისათვის სკოლის ოთხში:

1. **რკინის გზის სატექნიკო სასწავლებლებში** (მიწერ-მოწერითაც);
2. **კადეტთა კორპუსებში;**
3. **საშუალო სასწავლებლებში;**
4. **სათუნკერო და სამხედრო სასწავლებლებში.**

ქალაქ-გარედ მცხოვრებთ ცნობები გაეგზავნებათ ორ შვიდ კაპიკიან მარკის მიღებისთანავე.

სამხედრო მოსამზადებელი კურსები

ადრესი: ტფილისი, პეტერბურგის ქუჩა, № 11.
Тифлисъ, Петербургская, № 11. (10—5.—4)

საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზი.

პარასკევს, 16 მარტს, გაიმართება ერთი კონცერტი და სეანსი

ოპერა-ილიუზიისა

ოპერა-ილიუზია—უკანასკნელი გამოგონება **ედისონისა**. კაცს ოპერა-ილიუზიის შემწეობით შეუძლია ცოცხლად დაინახოს და გაიგონოს ეკრანზე ოპერები და ოპერეტტები, შესრულებული ევროპის თეატრების საუკეთესო არტისტების მიერ. ოპერა-ილიუზიაში დაიდგმება: „აიდა“, „ფაუსტი“ 1 აქტი; „ავე მარია“, ლიცეი, მეხიკო გუნდები და სხვა. დაწვრილებით აფიშებსა და პროგრამებში. დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე. ბილეთები იყიდება „საარტ. საზოგ.“ თეატრის კასაში. (1—588—1)

ხერხის ზავოდი

გ. ი. სერებრიაკოვისა

სამტრედიის ახლოს

იყიდება დახერხილი ნაძვის მასალა, დიდ-მალი

საქონელი, ყველანაირ ზომისა

ფასები დაკლებულია

(10—586—1)

ექიმი
მ. მაჩაბელი

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოთი 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კირიჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-ტ.—6)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიული. დილით 9—10 ს., საღამოთი 6—8. ვორონცოვის ქუჩა № 14.

ექიმი
შ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს შინაგანით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—$11^{1}/_{2}$. კირიჩნის ქუჩა № 9. (ოქ.)

ლაბორ.-ბაცილიანი რძე

მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროფესორ

ა. ს. კლემანსკის

ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 389. (100—51—95)

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 6—7 საათზე, ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—59)

ქუთ. სასტუმრო-სამიკიტნო ამხ.

„კოლხიდა“

იწვევს სოფლის მეურნეობაზე **შემოწმებულ აბრეშუმის თესლს**, ცნობილ ფირმებისას: უცხოეთიდან გამოწერილ მანქანისა და მაღაზიის თესლეულობას. (**ოოსკა, კოინდარი**), ხეხილების და ყვავილების ნერგებს. იქვე მიიღება შეკვეთები შეიძინოს სხვა და სხვა სამეურნეო იარაღი—მებაღეობისა, მეფუტკრეობისა, მეღვინეობისა და სხვა. 15 მარტიდან კვირა-პარასკევობით ამხანაგობა გამართავს საუბარს სხვა და სხვა სამეურნეო საკითხზე. (30—6.—4)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ვანქის ძველი ქუჩა, № 5 ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთ მიღება 11-დან 5 საათამდე.

ექ. დ. ა. რუსინკო—შინაგანი სნეულებანი, ორშაბათს და კვირას 3—4 ს.

ექ. ფ. ე. ჩუგუნოვსკი—ქირურგ. სნეულებანი და პირსაკეთობი 2—3 ს.

ექ. ნ. ა. აანდეევსკი—ყურის, ყელის და ცხვირის, ოთშ., პარასკ. და სამშ. 2—3 ს.

ექ. გ. ე. ვოსკოვი—ქირურგ., ორშაბ., ხუთშ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

ექ. ა. დ. რომანოვსკი—საბავშვო, ყოველდღიურად და კვირის გარდა 4—5 ს.

ექ. ეროხოლოვი. შინ. და ბავშ. ყოველ დღე 11—12 საათამდე.

ექ. ნ. მ. ანანიაშვილი—ყურის, ყელის და ცხვირის, ორშაბ., სამშაბ., და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

ექ. კუფეიი. ნერვ. სამშ., ოთხშ. და შ. ბ. 12—1 ს.

ექ. ა. ა. ნოვიცკი—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, კვირის გარდა 1—2 ს.

ექ. გორბულევ მი. შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

ექ. ა. ა. პოკროვსკი. ქირ. 12—1 ს. ყოველ დღე.

ექ. ნ. ა. ნეველინი—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. 12—1 ს.

ე. ა. ანოვკი. ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.

ექ. ა. ნ. თვალიაშვ—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

ექ. გ. გ. ბოგოვსკი — შინაგანი ჭამლობა მოაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

ექ. ა. ა. მინხე—ბავშვებისა, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

ექ. გორომიკოვი.—შინაგ. ყოველ დღე 11—1

ექ. ჩ. დ. ნეგმოროვი—ქალისა, ყოველ დღე 11—5.

ექ. კ. მ. პიკარსკი | **ექ. ტ. ა. ჩუგუნოვსკი** | კლინიკური ანალიზი.

ექ. გ. ა. თონოვკი—საკეისრო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—5 ს.

კაბინეტები, მასაჟი, ფიჯიკის აკრა, ინჰალაცია, ანალიზი, ბინები, ძირების და მოსამსახურე თავ ჯ. აოხვევა შეიძინებით. (100—5.—64)

შაბათს, 17 მარტს
ავჭალის აუდიტორიაში

წარმოდგენილი იქნება

ცხოვრების გმირი

დრამა 3 მოქ. კარპოვისა, თარგ. ზ. ბოკვაძისა.

მონაწილეობას მიიღებს არტისტი ჩარკვიანი.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

გამოცემა

კვირას, 18 მარტს, ადგილობრივ კლუბში მასწავლებელი

ალ. ივ. ნათაძე

წაიკითხავს პედაგოგიურ ლექციას ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის ღარიბ მოწაფეების სასარგებლოდ. (2—ე.—1)

ჭიათურის

სცენის მოყვარეთა ჯგუფის მმართველი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ პარასკევს, 16 მარტს 1907 წ., ნაშუადღევის 4 საათზე, ადგილობრივ თეატრის დარბაზში, მოხდება **საზოგადო კრება**, რომელზედაც განხილული იქნება: მმართველ კომიტეტის მოხსენება, ანგარიშები, მთავრობისაგან უკვე დამტკიცებული „ჭიათურის ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ წესდება და სხვა. დასასრულ მოხდება საზოგადოების გამგეობის და ნამდვილ წევრთა არჩევნები. (1—ტ.—1)

გორში

ვაიცემა იჯარით გორის საკრებულო ტაძრის ერთ სართულიანი მაღაზია ოთხი ოთახით, რომელიც მდებარეობს ამავე ტაძრის ქონებად, საჯარო ვაჭრობით ამა 1907 წლის 1 აპრილიდან ხუთის წლის ვადით. ვაჭრობა მოხდება ამავე საკრებულო ტაძრის გალავანში, სამღვდელოთ სახლში, 18 მარტს, 1907 წ., 12 საათზედ. ვაჭრობის განპირობება მესამე დღეს. მოვაჭრე[1] უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის დროს სავაჭრო ფულის მეხამედი. ვაჭრობა დაიწყება ოლქის თექვსმეტ თუმნიდან და შვიდი მანეთიდან (367 მ.). ვისაც სურს ხაიჯარო პირობების შეტყობა, შეუძლიან მიმართოს ამავე საკრებულო ტაძრის წინამძღვარს დეკანოზ მ. იოსებ ჯანაშვილს. (3—6.—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევს ქალაქის საბჭოს დარბაზში საღამოს 7 საათზე: 1, ტფილისის ყველა სავაჭრო დაწესებულებათა მესაკუთრეებს, რომელნიც იხდიან 1906 წლიდან სამრეწველო გადასახადს (პრომისლ. ნალოგ) ოთხშაბათს, 21 მარტს. 2, ყველა სავაჭრო დაწესებულებათა სრულ წლოვან მოსამსახურეებს ხუთშაბათს, 22 მარტს. 3, ქ. ტფილისის ყველა წვრილ სახელოსნოების პატრონთ, რომლებიც აგრეთვე ვალდებულნი არიან გადაიხადონ 1906 წლიდან სამრეწველო გადასახადი, პარასკევს, 23 მარტს. და 4, ყველა წვრილ სახელოსნოებში მომუშავეებს შაბათს, 24 მარტს, საზოგადო კრებაზე, რომელიც ნება დართული იქნება ბატონ ტფილისის გუბერნატორისაგან.

ამ კრებაზე შემუშავებულ უნდა იქნას საკანონმდებლო დადგენილებანი შესახებ ამ დაწესებულებებში მომუშავეთა და მოსამსახურეთა დასვენებისა სამინისტროს საბჭოს დადგენილების თანახმად, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულ იქნა 15 ნოემბერს, 1906 წ.

ამასთანავე ვაუწყებთ ზემოთ დასახელებულ პირთ:

1, სახელოსნოსა და სავაჭროთა დაწესებულებათა მცირე წლოვანი პატრონები და ისინი, ვისაც აპეკუნები ყავთ დანიშნული, არჩევნებში იღებენ მონაწილეობას თავის კანონიერ წარმომადგენლების პირით.

2, როცა სამრეწველო დაწესებულებას რამდენიმე პატრონი ყავს, მაშინ მხოლოდ ერთი მათგანი დანარჩენ პატრონების მინდობილობით იღებს არჩევნებში მონაწილეობას.

3, იმ სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებისა, რომლის პატრონებს უფლება აქვთ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, სრულ-წლოვანი მოსამსახურე—მუშები ყოველ თითოეულ საწარმოო დაწესებულებაში, ირჩევენ თითო თავის წარმომადგენელს, რომელიც იღებს მონაწილეობას არჩევნებში.

4, ის პირები, რომელნიც ამორჩეულნი არიან სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულების მესაკუთრეთაგან, როგორც წარმომადგენელი, საბჭოს დარბაზში შესვლისთანავე წარუდგენენ მას ამომრჩევლების ხელ მოწერილ რწმუნების ქაღალდს.

5, ამომრჩევლების საზოგადო კრება კანონიერათ ჩაითვლება, თუ მონაწილეობას მიიღებს არა ნაკლებ ამომრჩევლების ერთი მესამედისა. (1—5—1)

ტფილისი, 15 მარტი.

კაბინეტის თავმჯდომარე სტოლიპინი მეტად ცნაწყლიანი ყოფილა. არც ერთს საკითხს უპასუხოდ არა სტოვებს. ყოველივე შხოთაა სათათბიროს გამოკვლევათის. ამ კაცის ფარგლი შემდეგია: როცა სათათბირო საზოგადოების მოწინავეებულ საპიროებაზე და მის დაკმაყოფილების აუცილებლობაზე ლაპარაკობს, მაშინ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ხალხის წარმომადგენლებს კანონიერებაზე უთითებს, ხოლო როცა სათათბირო კანონიერების ითხოვლობს, მაშინ სტოლიპინი კანონიერების ჟუჟუნებაზე ლაპარაკობს. ამ მხრივ ერთობ საინტერესოა სტოლიპინის უკანასკნელი სიტყვა სამხედრო სასამართლოს შესახებ.

ოპოზიციის ორატორების მიერ მთავრობას წარუდგინეს, ხოლო განსაკუთრებით ენერგიით და სადემოკრატიაო დეპუტატმა მაკლაკოვმა შეურყეველის საბუთებით დაამტკიცეს, რომ სამხედრო-საველე სასამართლო უფლებრივი დაწესებულება კი არა, სწორედ უფლებრივ წესწყობილების გამანადგურებელი ინსტიტუტია. მთავრობამ თავის დეკლარაციაში განაცხადა, რუსეთის სახელმწიფოს გარდაქმნა უფლებრივ სახელმწიფოდ—აი, ჩვენი მიზანიო. თუ ეს განცხადება თვალთმაქცობა არ იყო, მთავრობის წარმომადგენლებს ან უნდა დაერღვიათ ხალხის წარმომადგენლების აზრი საველე იუსტიციის შესახებ და ან მათთან ერთად უარეყოთ თვით ეს იუსტიცია.

ეს ლოგიკურის აუცილებლობით გამოსჭვივის მთავრობის წინაშე და ამიტომ მთელი სათათბირო სულ განაბული უსმენდა სტოლიპინს, რომელმაც თამამად აიღო ხელში ოპოზიციისაგან ნასროლი ფელტონი და სიტყვის წარმოთქმა მოისურვა.

კაბინეტის თავმჯდომარე იმდენად უშიშარი გამოდგა, რომ ლოგიკურ წინააღმდეგობასაც-კი არ შეუშინდა. სტოლიპინმა ხმა მაღლა აღიარა, სამხედრო-საველე იუსტიციას მართალია არაფერი არა აქვს საერთო უფლებრივ წესწყობილებასთან, მაგრამ ამისდა მიუხედავად მას შესაძლოა მიანდოს უფლებრივი წესწყობილების მოსარჩლეობაც გამოიღოს ხალხის წინაშე და სამხედრო-საველე სასამართლოების დამცველობაც.

როგორ ახერხებს მერე ამას ეს წყლიანი ორატორი? სულ უბრალოდ. „სახელმწიფო მოვალეა, ამბობს სტოლიპინი, როცა იგი საშიშროთ მდგომარეობაში იმყოფება, უსასტიკესი ღონე იხმაროს და გამოსცეს არა ჩვეულებრივი კანონები, რათა დაიცვას თავისი თავი დარღვევისაგან. ეს ყოველთვის და უცვლელად ასე იყო, ასე არის და ასე იქნებაო“. გამოდის, რომ უფლებრივ წესწყობილებას უფრო ნაკლები ღირებულება ჰქონია, ვიდრე თვით სახელმწიფოს არსებობას, რომლის ერთად ერთი დანიშნულებაც სწორედ ისაა, რომ დაცულ იქნას სწორედ უფლებრივი წესწყობილება.

ეხლა რომ არ იყოს, ვის შეუძლიან და ვის ეკუთვნის განსაჯოს, სახელმწიფო საშიშროთ მდგომარეობაშია და ამიტომ უფლება უნდა დაირღვესო. სტოლიპინის აზრით მთავრობას, ე. ი. თვით სტოლიპინს. გამოდის, რომ უფლებრივი წესწყობილება სტოლიპინის დეკლარაციაში თვალის მოსატყუებელი საკაზმავი ყოფილა, რომელსაც, როცა მოეპრიანება, მაშინ გადააგდებს გვერდზე და სამაგიეროდ საველე იუსტიციას და სხვა არა უფლებრივ ინსტიტუტებს შემოიღებს.

სტოლიპინმა თავისი პირველი სიტყვა სათათბიროში იმით დაასრულეინა, რომ ხალხის წარმომადგენლებს მიაძახა: „ვერ შეგვაშინებთო“. მაშინ სტოლიპინისთვის პასუხი არავის მიუცია და ამ მუქარამ მეუდროდ ჩაიარა. ეხლა სტოლიპინმა ისევ ეს მუქარა გაიმეორა მხოლოდ სხვა, ახალის ფორმით: გახსოვდეთ, რომ უფლებაზე მაღლა მთავრობა ე. ი. მე მდგავართ. როგორც დეპეშებიდან სჩანს, ეხლა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისთვის ცხარე პასუხი მიუცია სხვათა შორის კოზლევსკის.

თქმა არ უნდა, სტოლიპინის სიტყვაზე ნაკლებ საინტერესო კოზლევსკის საპასუხო სიტყვა არ არის, სიკრამ პეტერბურგის დეპეშათა ;სააგენტომ, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელქვეითი დაწესებულებაა, სხვაფერ განსაჯა. სააგენტომ კოზლევსკის სიტყვა სრულიად არ გადმოგვცა და მხოლოდ ის შეგვატყობინა, რომ ამ სიტყვას სტოლიპინისთვის უსიამოვნება მიუყენებია. ტყუილა ჰგონია სააგენტოს, რომ ასეთი ფანდებით ხალხს თვალები აებმის. ხალხი მაინც ღირსეულად დააფასებს მთავრობის ყოველს განცხადებას და ლიდის ხნით არც ის პასუხი დარჩება საიდუმლოებად, რომელსაც ხალხის წარმომადგენლები აძლევენ მინისტრებს.

სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

პეტერბურგი. 13 მარტს სათათბიროს სხდომაზე თავმჯდომარემ კოზლოვსკის შეაჩერა, რადგან იგი, თავმჯდომარის აზ-

რით, მეჯლისის სხვანი გადაჰკრა, და განცხადა, რომ სიტყვის ნებას აღარ მოგცემთ. სიტყვის თქმა აუკრძალა თავმჯდომარემ აგრეთვე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სტოლიპინს, რომელმაც სურვილი განაცხადა ორატორის შემდეგ სათათბიროსათვის სიტყვა ეთქვა. რადგან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს აზრადა ჰქონდა ორიოდე სიტყვით ესისხნა კონფერენციისათვის, რომელიც ამ სიტყვას იწვევდა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჩათვალა აწი მნიშვნელობა არ მისცა სათათბიროს თავმჯდომარის განცხადებას, ეს განცხადება უპასუხოდ დატოვა და სიტყვა აღარ უთხოვნია. მაგრამ შემდეგში სათქვამს, რომ ეს შემთხვევა პრეცედენტის მიზეზად არ გახდეს, პ. ა. სტოლიპინმა საჭიროდ დაინახა განსაკუთრებული წერილით ეცნობებინა გოლოვინისათვის, რომ, კანონის აზრით, მინისტრთა და მთავარ მმართველთ უფლება აქვთ ყოველთვის მიმართონ ხოლმე სათათბიროს, როცა კი მოისურვებენ. აქედან ცხადია, რომ თვითეულ მინისტრის სიტყვის თქმის უფლება ხელ შეუხებელია და სრულიადაც არ ემორჩილება სათათბიროს თავმჯდომარის სურვილს. თავმჯდომარე, მიიღებს რა განცხადებას სიტყვის თქმაზე მინისტრისაგან, მოვალეა შეწყვიტოს ორატორების ჩაწერა და მისცეს მინისტრს სიტყვა. სტოლიპინს რა თავის მხრივ ყოველგვარ დაწინაურებით დაიცვას არა სასურველი გართულება საქმისა, რომელიც ყოველთვის შეიძლება იქმნება ამ ძირითად და უმთავრესი უფლების დარღვევისა, იმ უფლებისა, რომელიც ეკუთნის მთავრობას და დარწმუნებულია რა, რომ სათ. თავმჯდომარეც ამის თანახმაა. სტოლიპინი თავის წერილში გამოსთქვამს იმედს, რომ გოლოვინი უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ მის განცხადებას და მომავალში იხელმძღვანელებს, რომ კანონიერი წესრიგი არ დაირღვეს.

სახ. საბჭო. 14 მარტს სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა წარსულ სხდომაზე 16 კაცისაგან არჩეული საკანონმდებლო განზრახულებათა კომისია. სახელდობრ: სამარინი, ნარიშკინი, ლუკიანოვი, სბალერი, ზინოვიევი, ნოლდე, ტაგანცევი მანუხინი, საბუროვი, ტრეპოვი, ქნგელგარტი, პროფ. კოვალევსკი, პლატონოვი, გლეზერი, ლობეკო და პროფ. სერგეევი. შემდეგ ფეხზე ადგომით პატივი სცეს პობედონოსცევის ხსოვნას. სახ. საბჭომ, 128 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 7-სა, მიიღო მთავრობისაგან მოწონებული წინადადება იმ კომისიისა, რომელიც საბჭოს პირველ სესიაში იქნა არჩეული და მანდატი ჰქონდა, განეხილა პირველ სათათბიროსაგან მოწონებული კანონპროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმებისა.

ამ კომისიის გაუქმებისა და კანონ-პროექტის უყურადღებოდ დატოვების შესახებ. უმთავრეს საბუთად ორატორები ასახელებდნენ მთელ ევროპაში მიღებულ საპარლამენტო პრაქტიკას, რომლის ძალითაც გაუქმებულ სესიაში გაუქმებულ კანონ-პროექტები თავის დ. თავად უქმდება:

(განგრძობა იქნება)

ს.-რუს.-ი სოც.-დემოკრატების შესახებ. „ბირჟ. ვედ.“-ში დაბეჭდილია კორესპონდენტის საუბარი სოც.-რევოლუციონერების ცნობილ მეთაურ გერშ გოტშტეინთან. უკანასკნელმა გამოსთქვა თავისი აზრი სათათბიროში ს.-დეკების პირველად გამოსვლის შესახებ. „ჩვენ მხოლოდ შეგვეძლო ულმერთი მწუხარება გამოგვეთქვა ამ გარემოების გამო, — სთქვა გერშმა გოტშტეინმა: სოციალ-დემოკრატებმა ვერ შეიგნეს, და უკეთ რომ ვსთქვათ არ იცოდნენ მეგნოთ მომენტის დინჯი, ბატონ სათქმის მნიშვნელობა. მხოლოდ ლაპარაკის წყურვილი დაიკმაყოფილეს და საქმე წახდინეს. ამით გამარჯვება არგუნეს იმათ, რომელთა წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

17 ოქტომბრის კავშირი. ამას წინად სამეთაურო სასამართლომ გაარჩია პეტერბურგში სიყვარულის საქმე 17 ოქტომბრის პარტიის წევრის ნაუმოვისა და „ნოვ. ვრემია“-ს თანამშრომლის მილინკისა. უკანასკნელს ბრალად ედებოდა 17 ოქტომბრის პარტიის შეურაცხყოფა, რადგან საჯარო კრებაზე იმას უთქვამს: 17 ოქტომბრის კავშირის თაოსნობით გამოდის სენატის განმარტებანი. საქმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრთა ჯგუფის კრებაზე ერთ ოქტომბრისტს წინადადება ჰქონია საარჩევნო კანონის შეცვლის შესახებ როცა ორატორს უთხრეს, ეს შეუძლებელია, მეორე ოქტომბრისტმა წამოიყვირა, თუ ისურვა ხელმწიფემ, შეუძლია იმ შესაცვლელის კანონი, რომ იმის ნატამალიც არ დარჩება. კრასოვსკის აზრს სხვა ოქტომბრისტებმაც მაგრად ხელი ჩასჭიდეს. მინდვან საქმეთა სამინისტროც ერთობ გახარდა ამ გარემოებამ, ამგვარად 17 ოქტომბრის კავშირი ცოტად თუ ბევრად მთავრობის მრჩეველად და სენატის გზაზე დამყენებლად გამოდის.

ხოდოკები. ამ სახელს უწოდებენ რუსეთის გლეხები თავიანთ არჩეულთ, რომელთაც რომე მინდობილებით გზავნიან სხვა და სხვა ადგილას. თვით სიტყვა ჰნიშნავს „მოსიარულეს“. ამ გვარი ხოდოკები ამ ბოლო დროს მისვლან კოლინის გუბერნიიდან პეტერბურგს სათათბიროს ამბის გასაგებად. „ბოლოვის ბევრი დაბრკოლება აღმოუჩენია ამ გლეხებისათვის. ბოლოს სათათბიროს დეპუტატებს შეუვცვნიათ ისინი სხდომის ზალაში და უკიო-

ხაკი, რაზე გარჯილხართო. გლეხებმა უპასუხეს, გვინდა გავიგოთ, რას აკეთებენ ჩვენი დეპუტატები. გაზეთებს კი ჩვენ არ უჯერებთო.

კრუშევანი. ემიგრანტებს თათბირი ჰქონიათ იმის შესახებ, როგორ ალაგმონ თავისი მეკრებტყველი და გაბრაზებული ორატორი კრუშევანი. უკანასკნელს იმიტომ ემდურიან თურმე მემარჯვენენი, რომ იგი მარტის დისციპლინას არ ემორჩილება. გადაწყვეტეს აღარ მიანდონ ამიერიდან კრუშევანს სათათბიროში მარტის სახელით სიტყვის წარმოთქმა. ეს რომ დღეიდან კრუშევანი თავის სიტყვებისათვის თითონ აგებს პასუხს.

ახალი ამბავი

✦ **გუგუშვილის მოკვლა.** ტფილისში სამსახურის საქმისათვის ჩამოსული გორის მაზრის უფროსი ელიზბარ დავითის ძე გუგუშვილი. გუშინ 15 მარტს გუგუშვილი თავის სახლში დაბრუნებულა მაზრიდან ნაშუადღევს $3^1/_2$ საათზე ეტლით მარტოკა. როცა ეტლი გახვდა კარმინის ქუჩის შესახვევში, აქ მას წამოსწევია რამდენიმე კაცი, რომელთაც რამდენჯერმე დაუხლიათ რევოლვერებით ტყვია. ერთი ტყვია მაზრის უფროს მოხვედრია მარცხენა ყბაში, საიდანაც ტყვია ტვინში ავარდნია, და იქვე ეტლში ეს რამოხლად წაქცეულა რამდენიმე წამის შემდეგ გუგუშვილი გარდაიცვალა. მოკლულის გვამი მიხეილის საავადმყოფოს სანატორიუმში განყოფილებაში გაგზავნეს. მკვლელები გადაიმალნენ. გუშინვე ალაგობრივ როგორც კარმინის ქუჩაზე ისე საავადმყოფოში მივიდნენ პოლიცმეისტერი, სამხედრო გამომძიებელი და შეუდგნენ გამოძიებას.

✦ **მკვლელობანი.** 14 მარტს, საღამოს $7^1/_2$ საათზე, ოქროყანისა და ოლღინის ქუჩების შესართავთან ვიღაც უცნობმა რევოლვერით მოკლა ქუჩაზე მიმავალი კაცი. მოკლულის ვინაობა ჯერ ვერ გამოარკვიეს. ამავე დღეს, საღამოს 8 საათზე სურბ-კარაპეტის ქუჩაზე მოკლეს მეორე კაცი, ამბობენ — აზიატური. მკვლელები ვერც პირველისა და ვერც მეორისა ვერ აღმოაჩინეს.

✦ **ხროლა.** 14 მარტს, საღამოს 9 საათზე, ელისაბედის ქუჩის შესახვევთან ვიღაც კაცმა რამდენჯერმე რევოლვერი ესროლა „გოროდოვოის“, მაგრამ ააცდინა. პოლიციელმაც ორჯელ ესროლა თოფი, მაგრამ ვერც იმან მოარტყა. უცნობი კაცი ელისაბედის ქუჩით მოლოდინელი გამოუდგა. უცნობმა ჯოჯოხის ეზოში შეუხტა, იქიდან კიბით აძვრა სახლის სახურავზე, გადახტა მეზობლად მდგომ კარაპეტიანცის ეზოში და სადღაც გაქრა.

✦ **გაფიცვა.** როგორც ვწერდით, ტფილისის სადგურის „რაილნკებმა“ დაითხოვეს 63 მუშა და მათ მაგიერ სხვები ჩაყენეს. ამის გამო 14 მარტიდან საქალაქო სადგურის 200 მუშა გაიფიცა. ამათ მოითხოვეს დათხოვნილთა დაბრუნება.

✦ **გაძარცვა.** 14 მარტს ვოგზლის ქუჩაზე გაძარცვეს ტფ. რუსთაველის მოვაჭრე ი. ბოზარჯიანცი. ბოზარჯიანცს ნაშუადღევის სამ საათზე რკინის გზის სამმართველოდან მიეღო 8,000 მან. ბოზარჯიანცს მარტომა ვოლასხი 5000 მ. წ. და მ-ღებისათავე გადოუცა; დანარჩენი 3000 მან. ჯიბეში ჩაედვა და ეტლით სახლისაკენ წასულა. ვოგზლის ქუჩაზე ბოზარჯიანცის ეტლს შემოსხდენია ოთხი შეიარაღებული კაცი, რომელთაც რამდენჯერმე რევოლვერი გაუსროლიათ. უცნობებს წაურთმევიათ სამი ათასი მანეთი და მიმალულან.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** კვირას, 18 მარტს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში (ვერის ხიდთან) წაკითხულ იქნება ორი ლექცია. ქართულად წაიკითხავს ა. ვ. მდივანი — „სვერინგების ძველი წესწყობილება“; რუსულად — ნ. ს. ლეონიძე: «Дворянское гнѣздо» въ русской литературѣ XIX вѣка». დასაწყისი ქართულ ლექციისა 12 საათზე, რუსულის 1 საათზე. ბილეთები 10-დან 5 კ. გაიყიდება კვირას 10 საათიდან.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** დაჯარიმებიან: ვილტის გუბერნიაში ორის წლით ხ. მამაიანცი, რომელსაც რევოლვერი აღმოაჩნდა; ასტრახანის გუბერნიაში ორის წლით — ი. გორგიჯანოვი, რომელსაც ფულის დატყუება ბრალდება. ეტიფი იგზავნებიან საგ.-გუბერნატოროდან თვითეულ სოხუმი, კარალიძე, გიორგი ოსანეზოვი, ჯ. კარამოვი, იოსებ გუგუშვილი; ამბოლ. ქელიძე, ხუთი თუმნით დააჯარიმეს მ. ალიხანოვი და გიორგი ფანჯაკიძე. მიზეზი ის არის, რომ ეტლებს ძალზე მიაქანებდნენ.

✦ **საზოგადო კრება.** 28 მარტისათვის, ქალთა პირველ გიმნაზიაში დანიშნულია საზოგადო კრება უბედურ სასწავლებლებში მოსწავლე ქალთა დამხმარებელ საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს ანგარიში, ხარჯთ-აღრიცხვა და აირჩიოს გამგეობის და სარევ ზიო კომისიის წევრები.

✦ **„ახალშენი“** ტფილისში დაარსდა საზოგადოება „ახალშენი“ რომელმაც მიკიროვისა და გაბაშვილის ადგილები შეიძინა იმ პირობით, რომ ამ ადგილებზე დასახლონ ღარიბი ხალხი. ადგილების მეძენის სურვილი ჯერ ჯერობით 1500 კაცმა განუცხადა.

✦ **ბოქაულების და მღვდლების არჩევა.** სასინოდო კანტორას განიხილა განკარგულება სინოდის მღვდლებისა და ბლაღოჩინების არჩევის შესახებ. კანტორამ დაადგინა, მოწერილებს ჩაუმატებოს კანცელარიებს. დაადგინა აგრეთვე მომავლის საბლაღოჩინო ოლქებში სამღვდელო საბჭოები, რომელთაცა ღმერთებული უფლება ექნება და ადგილობრივ წერილმან საქმეებსაც განიხილავენ. საბჭოებს წევრებად იქნებიან ბლაღოჩინი, მღვდლების მოადგილი, მღვდელი და ორი მღვდელი.

✦ 14 მარტს კახეთის ქუჩაზე შემთხვევით გამვლელ ბოქაულის მაზრის მეხოტების ხელთ ჰყოლიათ ვიღაც უცნობმა მოტაცებით 100 მან. გამოსტაცეს და გაიპარნენ. ამავე დღეს სოლოლაკის ქუჩაზე მეხოტეებმა ბერის კარამა პოლიციას გამოუცხადა, რომ მას მაღაზიის ახლაში მოპარეს 110 მან. ფული და 140 მანეთის ნივთები. 14 მარტს რუსთაველის ქუჩაზე მეხოტებმა მიმავალ კრემნევმა განაცხადა პოლიციაში, რომ მას ამ დღეს ფოსტამ გაუქმა სახლი გაუტეხეს და 107 მან. 50 კაპ. ნივთები წაიღეს.

ქუთაისის ქრონიკა

✦ კვირის ქალაქის გამგეობის და საქალაქო მდებლთ კომისიის წევრებს ტფილისის ტრამვაის დირექტორმა ფრიდმანმა თავის შენიშვნები აცნობა იმ პროექტის შესახებ, რომელიც ქალაქის მინდობილებით შეადგინეს პეტერბურგის სეტ-ხნიკო საზოგადოების წევრებმა. ამ პროექტით, როგორც თავის დროზე ვაცნობეთ მკითხველს, განზრახულია პიკრიალიგური ცენტრალური სადგური ქალაქის გასანათებლად და ტრამვაის ასამოძრავებლად. ფრიდმანს სიტყვიერ მოხსენებაში აღუნიშნავს სუსტი მხარეები პროექტისა და ის დასკვნა გამოუტანია, რომ ეხლანდელ პირობებში სადგურის მოწყობა ქალაქს ზარალის მეტს არაფერს მისცემს. ფრიდმანს აღუთქვამს წერილობითი მოხსენების წარმოდგენა ამ საგნის შესახებ.

✦ ქალაქის გამგეობას ნება დართეს, რომ ხიდზე დაწესებული გადასახადი კვლავ განაგრძოს.

✦ ამას წინად დატუსაღებულ ქარცივაძეს, როგორც ისმის, ადმინისტრატიულის წესით რუსეთში გზავნიან.

✦ ი. გ. გომართელს, რომელიც აქამდის ქუთაისის სატუსაღოშია, როგორც ამბობენ, ნებას აძლევენ ოსმალეთის ბორჯომში.

✦ 9 მარტს პირველ საქალაქო სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ გადაწყვიტა დახუროს მეექვსე ძირითადი და პარალელური კლასები და მოსწავლენი, რომელთა რიცხვი 60-ზე ადის, დაითხოვეს. მოსწავლეებს ნება ეძლევათ მარტში ეგზამენები დაიჭირონ. მოსწავლეთა დათხოვნის მიზეზად იმას ასახელებენ.

ფელეტონი

თანამგზავრი.

(ნამდვილი ამბავი *)

ადგილობრივ მიმოსვლისას

მოსკოვიდან ტფილისის კუპეში, ჩემ გვერდით, ვიღაც მოხუცი სტოიკური სახით იჯდა და მის შესახებ არაფერი ვიცოდი, ... [illegible]

პეტერბურგში ცოტაოდენი „საქმე“ [illegible]

*) [illegible]

რეიოლიუციონერის, მეგობრის, მაგრამ საქმე ჩემს შესახებ საგანგებოდ არ იყო ლაპარაკი, ჩემი მონაწილეობა ამ საქმეში არავის ეგონა და არც დაცინებით მეძებდნენ. ამის გამო წასვლა მაინცა და მაინც საიდუმლოებით არ იყო მოცული. პასპორტი კარგი მქონდა, ხოლო რიგში უკეთესი მომცემოდა. ეჭვის გასაქარწყლებლად ბილეთი შესანიშნავი მქონდა — პირველის კლასისა კუპეიერის მატარებელში. ჩაცმულობაც შესაფერი მქონდა: კოხტა ჩემოდანში მელაგა ინჟენერის საგზაო ტანისამოსი იმ აზრით, რომ თუ საჭიროება მოითხოვდა, ინჟინერი დამერქმია ჩემის თავისათვის, მით უმეტესად, რკინის გზის საქმეში ცოტა რამ მესმის.

დილა! ვარშავის სადგურიდან მატარებელი დაიძრა — ვიფიქრე, ნახევრად მაინც გადავრჩი-მეთქი. კუპეში ორნი ვიყავით. — მე და ხანში შესული, ასე ორმოცდაათი წლის კაცი, ბატონ-კაცურისა და ინგლისის შეხედულობისა, რომ მაშინვე იტყოდით — აზნაურიაო. სახე წითელი, თვალები გადმოკარკლული, შესანიშნავი ულვაშები — ერთის სიტყვით, სამხედრო სამსახურში გამოჭედილ-აკეთებული. გამოუცდელ კაცს ეს ადვილად ნიშნები დაათიქრებდა, მაგრამ მე მიამა კიდეც ყველა ეს ნიშნები, რადგან ვიცოდი, ჟანდარმთან არა მქონდა საქმე, ხოლო თუ ჟანდარმი ალმოჩნდება იგი, სულელი უნდა ყოფილიყო, რადგან მოხერხებული და წინდახედული ჟანდარმი თავის დღეში არ შეიძენდა ამ ნიშნებს.

მატარებელი დაიძრა: თუთუნისა ვწევთ და ჩუმად ვსხედვართ.

ჟანდარმი რომ არ იყო, ეს ვიცოდი, მაგრამ ჩემი თანამგზავრი, ვამჩნევ, სხვა ნაირად მიყურებს — თვალს არ მაშორებს და მტრულად თვალები ისე დამაშტერა, რომ კაცს ეგონებოდა, ჩემს გულში უნდა კითხვაო. გავიარეთ ერთი, ორი, რამდენიმე სადგური და თვალს არ მაშორებს. ცუდად ვგრძნობ თავს. გულში ვფიქრობ — ნუ თუ ეშმაკმა და უბილეთმა ჟანდარმის ხელში ჩამაგდო. მაშ, თუ მაგრეა, ესენი: ცოცხალი არ დაგნებდებით და ვერც შენ გადამირჩები! თან ორი ბრაუნინგი მქონდა...

მივედით ვატრინამში. 10 წუთი შევისვენეთ. ამ ხანში ათი კაცს დავეჯერდი, სურვილი რომ ჰქონოდა: მარტო ჟანდარმებისათვის უნდა ენიშნა თვალი. თანამგზავრი ადგილიდან არ დაძრულა. მაშ ჟანდარმი არ არის...

პატარა ხანს უკან ვიგრძენი, რომ კიდევ დამაშტერდა... ეშმაკმა წაიღოს შენი თავი! რაც უფრო დრო გადის, მით უფრო მტრულად მიყურებს. ნერვები ამეშალა... აუტანელია!

ჯიბიდან ამოვიღე გაზეთი — ვარშავის სადგურზე საგანგებოდ ვიყიდე „ნოვოე ვრემია“, სიფთხილის გულისათვის. დავიწყე მენშიკოვის ფელეტონის კითხვა, დრო-გამოშვებით ალმაცერად ვუყურებ თანამგზავრს.

მიყურებს.

მენშიკოვი წავიკითხე და სტოლიპინის მიყვე ხელი.

მიყურებს.

სტოლიპინიც გავათავე და თვით მოხუცებულ სუვორინის „პატარა წერილიც“

მოვრჩი. უკანასკნელ გვერდზე გადავედი და განცხადებებს წავაწყდი.

ის ულმერთო კიდევ მიყურებს.

ვეღარ მოვითმინე. გაზეთი დავკეცე და გავუწოდე!

— ხომ არ ინებებთ?

გაკვირვებით შემომხედა და თითქო მოლბა.

— „ნოვოე ვრემია“ გქონიათ? — მე კი მეგონა... გმადლობთ, წაკითხული მაქვს, მომცის. მეცნიერ ხელის მოწერილი ვარ, დაარსებიდან დღიდან.

— მეც.

მერე მაგონდებოდა, რომ ოცდა-ათი წლისა ვარ და ჩემ სიტყვას ვჩანი:

— ესე იგი — ჯერ ჩემი მშობლები იწერდნენ და ეხლა მე.

— რას იტყვით, კარგად არა სწერს მენშიკოვი?

— კი, მაგრამ მე სტოლიპინი მირჩევნია.

— ოჰ! სტოლიპინსაც თავისი ღირსება აქვს — ის უფრო მიღმა კაცია, მენშიკოვის ნაწერები კი უფრო მრავალ ფეროვანია.

ამის შემდეგ ხითხითი დაიწყო:

— მე შორიდან მეგონა, რომ „ტოვარიში“-ს კითხულობდით... ჰა, ჰა, ჰა!.. უნამუსოდებისთვის ველოდი სცხელდა. ჰა, ჰა, ჰა!...

მეც წავიხადე:

— ჰა, ჰა, ჰა!...

და გულში კი ვფიქრობ:

— რას იზამდა ნეტავი, რომ მართლა „ნოვოე ვრემიას“ მაგიერად „ტოვარიში“ მჭეროდა ხელში?..

— ჰა, ჰა, ჰა!..

— ჰა, ჰა, ჰა!..

— უკაცრავად, — სთქვა ბოლოს, როცა ერთმანეთს გამოველაპარაკეთ, — ნება მიბოძეთ გკითხოთ, ვინ ბრძანდებით?

ამ შემთხვევისათვის, როგორც წინადაც ვთქვი, მზა პასუხი მქონდა: ეს და ეს ინჟინერი, სამსახურში აქა და იქ ვარ, ჯამაგირი ამდენი მაქვს, გაგზავნილი ვარ ახალ გზის გამოკვლევის შესამოწმებლად, და სხვა.

თანამგზავრი მისმენს, თავს აქნევს და სახეზე კმაყოფილება ეტყობა.

თავის თავიც გამაცნო. მემამულე სამსახურს გარეშე მყოფი როტმისტრი წინად ცხენოსან გვარდიაში იყო და ეხლა შემოსავლით სცხოვრობდა პეტერბურგში თავის სამ სახლს განაგებს. სახლები ისეთ ქუჩებზეა, რომ შემოსავალი დიდი უნდა ჰქონდეს. ეხლა ბაკუში მიდის, მამულის დასათვალიერებლად. იქ გლეხთა მოძრაობამ ზარალი მიაყენა ჩვენს თანამგზავრისათვის. ჯარიც დაუბარებია და ხალხს დასამშვიდებლად სროლა დაუწყიათ და რამდენიმე კაცი დაუჭრიათ და მოუკლავთ... ყოველ წინადადებას შემდეგს შეეკითხებოდა თავაზებს: მართალი თუ არა?

მეც იძულებული ვარ ვუპასუხო რამე და რადგან იმის სტორიული-ოციონერად გარდაქმნა შეუძლებელი იყო, ასე ვუპასუხე:

— მართალია ძნელია საქმე უნდა იყოს დღევანდელ პირობებში მამულის მოვლა-განსაკუთრებით დიდისა! — ვთქვი ბოლოს.

ვითომ ისინი მიეჩვიენ მოქმედობდნენ უწესოდ ბავშვებზე.

✦ რეალური სასწავლებლის ერთ-ერთ მოწაფეს, ვითომ იქ წარსულ კვირას სასტიკად სცემეს. ჩვენ ცნობით ...

ცვლილებანი სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში

1906 წლის სექტემბრიდან სასულიერო უწყების სასწავლებლებში ზოგიერთი ცვლილება მოხდა. ...

პროვინციის ცხოვრება

ფილოსის (?) ... და ... შენიშვნები

საშუალება არ იხმარა აქამდისინ უნელუების ასაცდენად.

მაგრამ ე სამწუხაროა ტფილისის თვითმართველობა, რომ სულში და ხმას არ იღებს. საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და მედგრად მოსთხოვოს დირექციას მოსკოვურად ვაგონების მოწყობა.

ნ. ზარნაძიშვილი.

წერილი სპარსეთიდან

უთანხმოება სპარსეთის ანჯუმანში.

თეირანში მეჯლისისა და შაჰის შორის უთანხმოების ამბავმა თავრიზელებიც გამოაფხიზლა. შეიქმნა მითქმა-მოთქმა. ადგილობრივ ანჯუმანში იმართებოდა ხშირი კრებები. გარეშე ხალხის თანადასწრებით მსჯელობდა ანჯუმანი, მაგრამ ვერათვითარ გზას ვერ დაადგა, გადაწყვეტილ დასკვნამდის ვერ მივიდა. მიზეზი მრავალია. საქმიოა დავასახელოთ ორი: ერთი არის ანჯუმანის წევრთა შორის შინაურობა გამორკვეული. როგორც ვიცით, ანჯუმანი, სპარსეთის სხვა და სხვა ქალაქში თითონ მესტოვრებთ დაარსეს, მთავრობის გარეშე. შიგ მოჰყვნენ მდიდრები და სასულიერო წოდების ხალხი. მერვეე-კლერიკალთაგან შემდგარ ანჯუმანს შემოუხაზავს წრე ტრადიციების ფარგლით და ამ წრეს გარედ ვერც ერთ გამოუყვია ცხვირი და არც სხვას უშვებს; ცხოვრების პირობები, მითგან წამოყენებული საკითხ-ბი-კი დაძრებით თხოულობენ სატრადიციო წრის გარედ მსჯელობას და მოქმედებას. ამისთანა უკულმართი მდგომარეობა ანჯუმანისა ნელ-ნელა, მაგრამ მედგრად ღრღნის თვით კრებულის ერთიანობას, სოლიდარობას. უმრავლეს საკითხი იწვევს უთანხმოებას, რაც ბოლოსა და ბოლოს უფრო მწვავდება და ვგონებ, მალე გათიშავს ანჯუმანს რამდენსამე შეურიგებელ ნაწილად. როგორ შეხედავს ხალხი კრებულის შეურიგებელ ნაწილებად დაყოფას და რას ილონებს სახალხო მართველობის განახლებისათვის, ამას მომავალი გვიჩვენებს.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ანჯუმნები აქამომდისაც მოიწონებოდნენ, რომ მათ გარეგან არ დარაჯობდეს ხალხი. ამ სისტრე დარაჯობის მაგალითი მრავალია, აქ ერთს მოვიყვან დასაბასიათებლად.

ამას წინად თავრიზის ანჯუმანს ნახარხედ ჰქონდა მსჯელობა. უნდა მოვგვლინიში მივიღოთ, რომ თავრიზის ანჯუმა, როგორც საილქო დაწესებულება, ეხება მთელ ოლქის პურის ნიხრს, რით უტევს, რომ ხორბლის გამყიდველები ბოროტმოქმედებდნენ და ტყუილის მდიდრები არიან. ხორბლის ფასად ანჯუმანმა გადაწყვიტა ბათმანი 35 შაჰი. ამას არ დაეთანხმა ერთი მდიდარი წევრი, იგი თხოულობდა 48 შაჰისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მე ჩემ ბეღელს არ გავხსნი გასაყიდადაო.

ამან დიდი და ხანგრძლივი ლაპარაკი გამოიწვია. ანჯუმნის წევრისაგან ამავე და წესებულების გადაწყვეტილების შეუსრულებლობა დაუკარგავდა გავლენას ანჯუმას საზოგადოდ და კერძოდ სხვა შემძლეთ, ვარს თქვენებდა ლიდერის ნიხრის დაშორებისაებზე. მდგომარეობა საჭმისა გაიგო ხალხმა და როცა დადგენილების უარმყოფელი მეზობიარი მეშმულე ანჯუმნის სავრებულოდან შინ ბრუნდებოდა, თავის სახლის ახლო, დასცეს რევოლვერი და დასჭრეს მუხლებში. ამ შემთხვევამ შემაშფოთებელი აზრი შეიტანა ხალხში და მეორე დღესვე გაჰყიდა ხორბალი თანახმად დადგენილ ნიხრისა. ანჯუმამ შეიპყრო 4 კაცი, როგორც დამნაშავე და საქმის გამოძიება დაიწყო. კრებაზე შეიტანა ერთი სხვათა, რომელსაც თანახლდა 40 შეიარაღებული კაცი, და მოითხოვა დატუსაღებულების განთავისუფლება, როგორც უდანაშაულო პირთა; ამბობა, რომ დამჭრელნი სხვანი იყვნენ და მათაც დავიჭერთ შემსრულებსო, განთავისუფლებულთ დატუსაღებულნი და მტკიცე შეასრულეთ თქვენი მოვალეობა, თორემ ყველანი ერთ დღეს იქნებით მოწყვეტილნიო. მუქარამ აქაც გასჭრა, ტუსაღები განთავისუფლეს, და პურის ნიხრის შესრულებას ეხლა მეტის ყურადღებით ადევნებენ.

რაკი ერთხელ დაირღვა სოლიდარობა ანჯუმნის წევრთა შორის, მისი დადგენილებები კანონიერს მნიშვნელობას ჰკარგავს. ამიტომ მთავრობის მომხრენიც სარგებლობენ ყოველ შემთხვევით და სადაც-კი ნახავენ ნიადაგს, არ აკლებენ მეცადინეობას, აღძრან ანჯუმნის არჩეულთა და ამომრჩეველთა შორის უთანხმოება. თებერვლის შუა რიცხვებში ჩრდილო-მხრის პოლკის ყაზახები დაარიგეს სპარსეთის სხვა-და-სხვა კუთხეში, ვითომ ქრისტიანეთა თანაცხვეილით მოსალოდნელ ძლეტა-ხოცვისაგან. ამ დროს ყაზახების იქ დარიგების (ურმიაში 30 ყაზახი გაგზავნა, თავრიზში 19 კაცი მოვიდა და სხ.) სპეციალური მიზანი ექნება. საწადელს მიაღწევენ თუ არა, ვერას ვიტყვი, ხოლო ერთის თქმა შემიძლიან: ყაზახების ცხოვრება, როგორც შეუფერებელი ადგილობრივ პირობებისა, ბევრს კანფლიქტს გამოიწვევს და ბევრგან შეიძლება სისხლიც დაიღვაროს. მთავრობისჭ მომხრეთათვის ყაზახების შემოსვლა დიდი შეღავათია, მათ ქადაგებას მედიდრებს შორის ახლა კარგი გასავალი ექნება.

ერთის მხრივ თეირანიდან მოსულ უკანასკნელი ცნობები, რომ შაჰი კანონიერად სცნობს ანჯუმნებს მთელს სპარსეთში და კმაყოფილია ანჯუმნების მოქმედებით, და მეორეს მხრით ყაზახების ჩამორიგება შეუთანხმებელი მოვლენაა. რომელია ამ ორ მოვლენაში შაჰის სურვილის გამომხატველი, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

სამწუხაროა მხოლოდ ერთია: ხალხს ეკარგება ძვირფასი დრო, როცა თითქმის უსისხლოდ შეეძლოს განთავისუფლება. ამისი ერთად-ერთი მიზეზი-კი ის არის, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში მოექცა კლერიკალიზმი და ბურჟუაზია.

ჰაჯი მირზა.

რუსეთი

მალოროსიული ენის სწავლება. სახალხო განათლების სამინისტრომ განკარგულება დაუგზავნა ოლქის მზრუნველებს: ავალებს ნება დართონ, თუ რომელიმე გიმნაზიამ ისურვა სასწავლო საგნად მალოროსიული ენის შემოღება.

შიმშილობა პეტერბურგის სატუსაღოში. პირველ სეთათბირის დროს პეტერბურგის სატუსაღოს „კრესტი“ პოლიტიკურმა პატიმრებმა რამდენჯერმე გამოაცხადეს „შიმშილობა“, ჰამაზე ხელი აიღეს და აიძულეს ამით ადმინისტრაცია გაეუმჯობესებინა მათი მდგომარეობა. ადმინისტრაციამ მეტი ხრო დაუნიშნა სეირნობისათვის, ერთად სეირნობის ნებართვა მისცა და სხ. პირველ სათათბიროს დაშლის შემდეგ პოლიტიკური პატიმრები ისევ ძველ გაჭირვებაში ჩავარდნენ: იმათ და რუსეთის ციხეებში ყველა პოლიტიკურ ტუსაღებს წაართვეს მიცემული შეღავათი და პლევეს დროის წესები გაამეფეს პეტერბურგის „კრესტის“ გამწარებულმა ტუსაღებმა 7 მარტს ისევ „შიმშილობა“ გამოაცხადეს და თავისი მოთხოვნილებანი წარუდგინეს ადმინისტრაციას. ამ ქამად „კრესტის“ სატუსაღოში ათასამდე პოლიტიკური ტუსაღია. პატიმრებს მოითხოვეს პროკურორის ამხანაგი, მაგრამ ცხრს უფრომა უარი უთხრა.

წესიერების დაცვა. პეტერბურგში ხმებია გავრცელებული, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველა დიდ ქალაქებში განკარგულება გაგზავნა, რომლის ძალით ადგილობრივ უმაღლესს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, სასამართლოს უმაღლესს მოხელეებისა და ჯარების უფროსთა მონაწილეობით, თათბირი უნდა გამართონ ქალაქში მშვიდობიანობისა და წესიერების დასაცველად.

დონის კაზაკები. მეთხვეულებს ეწყობებათ, რომ ამას წინად სათათბიროს სხდომაზე დონის კაზაკების წარმომადგენელი მოწინავე აზრის კაცი გამოდგა, სამხედრო-საველე სასამართლოების წინააღმდეგ გამოილაშქრა, რითაც ერთობ ააშფოთა თერგისა და უზალის კაზაკების წარმომადგენლები. ამ ქამად კორესპონდენციები იბეჭდება რუსეთის გაზეთებში, სადაც აწერილია დონის კაზაკების გაჭირვებული მდგომარეობა, მთავრობის მრავალი უსამართლო მოთხოვნილება, გადასახადები, მიწის ვიწროობა სხვა და სხვა მძიმე წესები, რომელნიც თან და თან უძლურ დონის კაზაკებს თვალებს მოაგონებს მოლეაწყვებზე.

წიგნების კონფისკაცია. დღე არ გავის ისე, რომ რუსეთის გაზეთებში ამბავი არ წავიკითხოთ, ამა და ამ ქალაქში ადმინისტრაციის განკარგულებით პოლიციამ ხელში ჩაიგდო ესა და ეს გამოცემა და იმის გავრცელება შეაჩერაო. სანკტ-რუსი ცნობებია გაზეთებში დაბეჭდილი მოსკოვის ცნობილ წიგნის საწყობის „ტრუდ“-ის შესახებ. ადმინისტრაციის განკარგულებით სრულ გატანილ ამ მაღაზიიდან სხვა და სხვა წიგნების 250 ათასი ცალი.

დამშეულთა დახმარება. დამშეულთა დამხმარე მთავრობის კომისიამ მინისტრების შუამდგომლობით, რათა მთავრობას დამშეულთათვის ხუთი მილიონი გადაეცა სტოლ-პინს ჰასუხად უ-ქვამ, სახელმწიფო ხაზინა ცუდ მდგომარეობაშია და 2½ მილიონ მანეთზე მეტს ვერ გადავიდებ ამ საქმისათვისო.

სასტიკად დასჯილი მწერალი. სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის საქმის გამო პასუხის გებაში მიცემული და დატუსაღებული იყო ახვათა შორის ცნობილი მწერალი ჰ. მიაკოტინი, რომელსაც ვერ იტანია ციხეში ჯდომა და ჰკუაზე შეშლილა.

დეპეშა

(პეტერბურგის ტელეგრაფთა სააგენტოსაგან)

14 მარტი.

მაშჰედი. ხამზავარში (ხპარხეთშია), რომელიც თვლებაზიიდ სავაჭრო ცენტრად ითვლება, მხედრად მოჰკლეს რუსეთის ქვეშევრდომი ხოშეხი. ხალხი აღელვებულია და რუსეთის ფანარიან ქვეშევრდომთა ემუქრება. ვს უკანასკნელნი კარბიან. მათ ფახავნელად ხავლრიდან მოხელე და კაზაკები გამოგზავნეს, მთავრობა ზომებს იღებს.

ბუხარესტი (რუმინია). განაზნელები პრეფეტმან. იცკანაში ეხლა უფრო მშვიდობიანობაა.

კონსტანცა. გაზეთების ცნობა, ვითომ მეპრეტის მესარბაიის ნაპირზე, რუმინის ამბების ზეგავლენით, აგრარული მოძრაობა დაწყებულიყოს, მართალი არ არის.

ბერლინი. ბერლინში მხიშულ გამოფენის გამართავს ვაჭარ-მრეწველები აღტაცებით მიეგებნენ. გადაწყვეტილია ყოველს სამეფოებით მეურნეთ ხელი შეუწყონ განხორციელებას.

პარიზი. როდესაც მეშანის მოკვლის შესახებ მეკითხნენ მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა: დანაშაული მეტად გარემოებათა მთელის რიგისა. მთავრობამ მიიღო ზომები, რომ აიძულოს სულთანი დაუბრუნოს წეს-რიგი და კანონიერება. საფრანგეთი მოითხოვს კეთილმოფერების მარრაკეშის ხამახურიდან დათხოვნას და დაპატიმრებას. ხაამ ყველამ ჩვენს მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებს, ვიჭერთ ოაზისს უდჟდას. საფრანგეთი თავის თავს უფლებას აძლევს დაუყოვნებლივ დაჰხვიოს მაროკოს ზღვის პირას მდებარე ქალაქები. საფრანგეთის პოლიტიკა თავისუფალია ყოველგვარ სხვის მიწა-წყლის ძიებისა და ლტოლვილებისაგან, მაგრამ მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს გამოიჩინოს ძალა, რომ დაიცვას ხიდოვნება და უფლება თავის ქვეშევრდომთა. პალატამ მთავრობის მოხსენება ერთხმად მიიღო.

მოსკოვი. რიგა «რუსსკი ვედომოსტებ»-ის რედაქტორი, მირველ ხას. ხათაობით წვერად ნამყოფი, ილოცდა თავის სახლიდან (ცრანატის ვიწრო ქუჩაზე) გამოდიოდა, ვიღაც უცნობმა, ახალგაზრდა კაცმა, ითხოვა ესროლა რევოლვერი და მოკლა. მკვლელი აითხლა.

პარიზი. პალატაში სამხედრო მინისტრს მეკითხნენ 1903 წელს გაწვეული ჯარის კაცების დათხოვნის თაობაზე. მინისტრმა განაცხადა: 1903 წელს გაწვეულ ჯარის კაცთ სექტემბერზე ადრე ვერ დავითხოვთ. მთავრობამ მოიწვია პარტიის დრემვლა მიერ საქმეებზე გადასვლის შესახებ. პალატამ 278 ხმით 286 ხმის წინააღმდეგ უარ-ჰყო იგი. ამან დარბაზში ხმაური გამოიწვია. გულიერში კაბინეტის გადადგომაზე ლაპარაკობდნენ. სოციალისტმა დეპო-რომარმა წარუდგინა პალატას ფორმულა: «მთავრობას ნდობა გამოუცხადოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ 1903 წელს გაწვეულ ჯარის კაცთ პირველ მოხერხებულ დროს დაითხოვენო». კლემანსომ დაეთანხმა ამ ფორმულას, რომელიც პალატამ 413 ხმით 796 ხმის წინააღმდეგ მიიღო.

შეპერდი. აქაურ ნავთ-სადგურში ერთ ნავთხანაზე აფეთქება მოხდა. რამდენიმე კაცი მძიმედ დაშავდა.

ხერსონი. დამე საღაურზე მერზამ 20-მდე შეიარაღებული კაცი დაესხა. მოატაცეს ფულის შკაფი რკინისა. შკაფი მერვე დღეს იპოვნეს, სადგურიდან 15 ვერსზე მანძილზე. ფული 5613 მანეთი უკვე ამოღებულია. ბოროტ-მოქმედებელთ რკინის შკაფი ვერ გატეხეს და გადაყარეს.

მოსკოვი. «რუსსკი ვედომოსტების»-ს რედაქტორის მოკვლის დაწვრილებით ამბავს ასე გადმოგვცემენ: ილოცდა რედაქციიდან შინ მიდიოდა. ქუჩაში ჰეჰანებ არ იყო. ქუჩის მეორე მხარეზე პოლიციელთა გამოიარა, ხმოროლიკანზე იდგა ქვენის ზედამხედველი. როცა მათ რევოლვერების ხმაზე მოირბინეს, ტოროპოვის სახლის დაკეტილ ალაყაფის კართან ნახეს მოკლული ილოცდა. ერთი ტყვია პირში ჰქონდა მოხვედრილი, მეორე მკერდში. პოლიციამ დაპატიმრა ქუჩის მხარეზე მიმავალი ვიღაც უცნობი, რომელსაც ერთად ერთ მკვლელ მკვლელობის მოწმე ყოფილიყო. ოილოხს დიდი ხანია მუქარის წერილები მოსდიოდა. ეხლახან მასთან ვიღაც უცნობი იყო და გააფრთხილა: მოკვლას გიპირებენო. მეორედ კიდევ ვიღაც მეშა ლებედევი მივიდა და ფული ხოთხოვა. ოილოხმა ხამი მანეთი მისცა. მეშამ გააფრთხილა: ერ დღეში კარედ ნუ გამოხვალო. მკვლელობის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოჩნდა პროკურორი და საგანგებო საქმეთა გამომძიებელი. «რუსსკი ვედომოსტების»-ს ყველა თანამშრომელს ჩვენება ჩამოართვეს. ტოროპოვის სახლი გაჩხრიკეს.

კრასნო-არსკი. საათობრის წვერად ცნისვის გუბერნიაში აარჩიეს მღ. ბრილიაანტოვი. ეპარქიის მეპარეხეე. მეორე ვოჟ-პეტატი ხელ აარჩევს.

პეტერბურგი. 27 მარტს მოხდება თავად-აზნაურთა საზოგადოებათა მეერთე ხელი საიმპერიო კრება.

ლოდძი. ჰოზნანსკის ქარხნების მუშები ხამ ალაგას მეიკრიბნენ და მუშათბის დაწყების თაობაზე მოილაპარაკეს. მუშათბის დაწყების მოსხრე 2401 ქ-ცი აღმოჩნდა, წინააღმდეგი 1874 კაცი.

ეკატერინოსლავი. ნოვო-ლენბრიდევსკის სადგურზე დააპატიმრეს ხამი კაცი, რომელნიც სადგურ გარიაბინიზე 28,000 მანეთის მოტაცებაში მონაწილეობას იღებდნენ.

პეტერბურგი. მიწის მოწყობილების მთავარი სამმართველო აპირებს 8-10 აპრილში გამართოს სამხრეთ რუსეთის მეხხვარეთა კრება; ხაზ. საქმის წვრის თავპერე ტერეშჩკოის თავმჯდომარეობით. აზრადა აქვთ, ცხრის ფარს ახალი თავსხდებულ ადგილები მიერჩინ სამხრეთ რუსეთში, მოეწყოს ნიტრიდის მეტყლიაი ვაჭრობა და სხვა.

ბუქარესტი. მოლდავიაში აღდგენილ იქნა წესიერება. ვალახიაში რამდენსამე ადგილას ჯარსა და აჯანყებულთა შორის შეტაკება მოხდა. მოკლულია რამდენიმე კაცი. პალატაში მინისტრ-პრეზიდენტმა სტურძამ, რომელიც ახალ კაბინეტის სათავეში სდგას, სიტყვა წარმოსთქვა და პალატას მოუწოდა: ლიბერალურ სამინისტროს მხარი დაუჭირეთ ამ განსაცდელის დროსაო. მინისტრად ნამყოფმა იონესკომ, ლაგოვარიამ და კარპმა განაცხადეს, იხინი მხად არიან დახმარება გაუწიონ. შემდეგ ერთ ხმად მიიღეს მთავრობის მიერ შეტანილი კანონ-პროექტები, რომლებიც შეეხება ლეიონზე 5 ფრანკის ბაჟის მოხსნას, მიწის გადასახადის რეფორმას, რომელსაც კლებებს ახდენენ და სხვა კანონ-პროექტები, რომლებიც მიწის მუშის მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობენ. გამოაქვეყნეს მთავრობის მანიფესტი, რომელიც მოუწოდებს მეხხვრეთ პატრიოტულ დახმარებისათვის მშვიდობიანობის აღსადგენად, აცხადებს კანონ-პროექტებს, რომლის გლეხს მამაგ უდელ მცემხარებრძვებს. განზრახულია ზომები, მიიღონ საადგილ-მამულო ქსიათა შესახებ ბანკ-ის ფართო გამოყენება. მეორე მამულიდამ მიწაზე მეწინ ძალი და ავეჯიანიო, და მამულის შესამოწმებლად მემამულისა ლასტვის ადგილის განკარგულებაში გადაეცა. მთავრობა იღონებს, რომ ნუ ღონისა აუწიოს, რომ კანონი ეკლესიათა ხრესმით. არჩევნების მოსახსრელად ძნელი ზომები იქნება მიღებული, მაგრამ პოლონიზმი იქნება დაჯილდოება.

რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ი. მჭედლიშვილი.**

განცხადებანი

ბავშვთა კერძო საექიმოსალო

დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ყაროსკოვის ძველი პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირების გარდა.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

ე. ს. სეჭიაშინი: 9½—10 ს. თვალის, შინაგან და ნერვებისა.

ხ. ა. პაპასახოვა: 10—11 ს. ხახვის, ქალებისა და ბავშვებისა.

ს. გ. ოგნევიანსკი: 11—12 ს. კანის, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. ს. პეტროვა: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ე. ა. გაბეგოშვილი: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

ა. ა. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვთა.

ა. ა. შტერმანი: 1½—2 საათ. სახების და ქალებისა.

ე. ი. ტუფიკოვა: 1—2 საათ. ქალებისა და ბავშვთა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. საექიმოსალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (150—ბაშ.—43)

ტფილისის ამხანაგობა

„ნდობამ“

დროებით შესწყვიტა ტფილისში ვაჭრობა, რადგან ვერავის ხელში შეუძლია მისი წინ მიყვანობა (გაქირავება). საქმეს აგრძელებს მხოლოდ სახელოსნო განყოფილება, სადაც მიიღება ადგილობრივ ნაქსოვნარი, როგორც ძვირფასი შალი და ხალიჩები, მაგრამ ტყავ (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწერ მიბარება, აგრეთვე სახოვნული პარჩებისა, სიუთე და შეღებვა ნაქსოვნარი, რისთვისაც სხვა დასახელებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც მეცადინე (ხავახის) საქმით, ისე მხად შეეცრინის ყიდვით, და შეიღებს საოჯახო საქმით. ვილად ყრავთ თავს, განვაცხადოთ რომ ყოველ ღამე ღლის საქმეს ნაღლად გაუძლებთ. ამხანაგობა გადავიდა ერიონის ქუჩაზე, ბელიაშოვის შენობაში, № 11-შ., ალიეკვის სავაჭრო საზოგადოების ცოტა ქვემოთ.

გამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი.** (20—569—9)

სანიმუშო ამერიკულ ფეხსაცმელის მაღაზია

კლოდ-უმუროლი

ჩვენის და ამხადებს დამუხობილ ფეხსაცმელ ვაზემბ ნაყენებს

გამარტება და პრეისკურანტები უფასოდ. (2—ივნ.—1)

ნამდვილი კახური ღვინო

ზავაი ქვეყანათვის ხელმისაწვდენი. (100—35)

კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრემბერგის

ნამდვილ კრუზის მოედანზე (შემტანის ქუჩ. № 3), სავრცელოფი სიზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შეღავათიანი: მოწაფეებისათვის და ღარიბებისათვის (ბირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნური კბილის ნაწილება 3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო ამგარაცეისა ამეუხედნ. (100—88)